საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №127/ნ

2011 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე -3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტისა და ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,, აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 15 ოქტომბრის №860 ბრძანება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 27.01.2012წ.
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №155/ნ - ვებგვერდი, 10.08.2012წ.
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №177/ნ - ვებგვერდი, 19.11.2013წ.
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის ბრძანება №06/ნ - ვებგვერდი, 30.01.2015წ.
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №105/ნ - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

დანართი

საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ამ წესით განსაზღვრული ინფორმაციის შეტანის, მასში ცვლილებების განხორციელების ან/და რეგისტრირებული ინფორმაციის რეესტრიდან ამოღების წესს.

2. რეესტრის წარმოების მიზანია საგანმანათლებლო დ აწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია.

3. ამ წესით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ საგანმანათლებლო, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებსა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №105/ნ - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 2. რეესტრის ადმინისტრირება და რეესტრით სარგებლობა

1. რეესტრს აწარმოებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი), რომელიც უფლებამოსილია ამ წესით გათვალისწინებული მოვალეობების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს და გამოიყენოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცული პერსონალური მონაცემები.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეესტრში ამ წესით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტანისა და ცვლილებების განხორციელების მიზნით, ასევე რეესტრის წარმოების პროგრამული უზრუნველყოფისთვის ცენტრი ქმნის მონაცემთა ინტერაქტიულ ბაზას.

3. რეესტრის მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებებს გადაეცემათ ადმინისტრირების მოდული, რომელშიც ხდება შიდა მომხმარებლების შექმნა, უფლებების განსაზღვრა და დაწესებულების მიერ პაროლის შექმნა/შეცვლა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 იანვრის ბრძანება №06/ნ - ვებგვერდი, 30.01.2015წ.

მუხლი 3. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ რეესტრში შესატანი ინფორმაცია

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ცენტრის მიერ რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ბ) დამფუძნებელი (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სახელმწიფო) და მისი საიდენტიფიკაციო კოდი ან პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში);

გ) სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი, სახელმწიფო რეგისტრაციისა და გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის თარიღი, საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების დაწყების/დაფუძნების თარიღი, ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების რეორგანიზაციისა და სახელწოდების ცვლილების შესახებ შესაბამისი აქტების მითითებით (აქტის ნომერი, მისი მიღებისა და ძალაში შესვლის თარიღები);

დ) საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპი და სახე;

ე) ცენტრის მიერ მინიჭებული ხუთნიშნა უნიკალური კოდი;

ვ) ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ნომრის, თარიღისა და მათი მოქმედების ვადის მითითებით;

ზ) საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი და მისანიჭებელი კვალიფიკაცია;

თ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამის მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანი/საგნობრივი ჯგუფის მითითებით).

2. საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხელმოწერების დასკანერებული ვერსია, პირადი ნომერი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, უფლებამოსილების მინიჭებისა და შეწყვეტის თარიღი შესაბამისი აქტების მითითებით;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების იურიდიული მისამართი, ფაქტობრივი მისამართ(ებ)ი, საფოსტო კოდი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტისა და ვებგვერდის მისამართი;

გ) ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულების შესახებ პერიოდის მითითებით, შესაბამისი აქტის დასახელება, ნომერი და მიღების თარიღი;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების პერიოდში არსებული საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის ფორმების დასკანერებული ნიმუშები მათი მოქმედების ვადის მითითებით;

ე) საგანმანათლებლო დაწესებულებაში საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი);

ვ) საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდის, შტამპის და სატიტულო ფურცლის დასკანარებული ნიმუშები დამტკიცების/გაუქმების თარიღების მითითებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №105/ნ - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ რეესტრში შესატანი ინფორმაცია

საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეესტრში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, მისამართი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით), ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) დაკავებული თანამდებობა, თანამდებობის დაკავების ან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის თარიღისა და ვადის მითითებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში ასოცირება ავტორიზაციის მიზნით;

გ) განათლება, ინფორმაცია აკადემიური ხარისხის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომელშიც/რომლებშიც მონაწილეობს პირი, პუბლიკაციები;

დ) დამატებითი ინფორმაცია დაწესებულების შეხედულებისამებრ.

მუხლი 5. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ რეესტრში შესატანი ინფორმაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ რეესტრში საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:

ა) სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა;

ბ) ჩარიცხვის ფორმა, სწავლების საფასური, სახელმწიფო დაფინანსების ოდენობა; ერთიანი ეროვნული გამოცდების, საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და საგნის გამოცდის შემთხვევაში – სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი, საკონკურსო ქულა/ქულა;

გ) საფეხური, საგანმანათლებლო ერთეული, რომელზეც მოხდა ჩარიცხვა (არსებობის შემთხვევაში), საგანმანათლებლო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ჩარიცხვის ბრძანება და თარიღი, მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია;

გ[1]) საგნის გამოცდა, რომლის ჩაბარებითაც მოხდა პირის ჩარიცხვა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამის მოდულები (ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანი/საგნობრივი ჯგუფის მითითებით), რომელზეც ჩაირიცხა პირი ჩაბარებული საგნის გამოცდის შესაბამისად, ჩარიცხვის ბრძანება და თარიღი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის ამორიცხვის შესახებ ინფორმაცია;

გ[2]) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის დამთავრების საფუძველზეც პირი ჩაირიცხა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, დამთავრების წელი, ატესტატის/პროფესიული დიპლომის/დიპლომის ნომერი და ატესტატის/პროფესიული დიპლომის/დიპლომის გაცემის თარიღი;

ე) მოსწავლის/პროფესიული სტუდენტის/სტუდენტის/მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის მისამართი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით).

2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეესტრში შეიტანება მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის ნომერი და გაცემის თარიღი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №177/ნ - ვებგვერდი, 19.11.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №105/ნ - ვებგვერდი, 01.09.2016წ.

მუხლი 6. რეესტრში რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილებების განხორციელება და რეესტრიდან ინფორმაციის ამოღება

1. იმ გარემოებათა შეცვლისას, რაც საფუძვლად დაედო რეესტრში ინფორმაციის შეტანას, უნდა განხორციელდეს რეესტრში შესაბამისი ცვლილებები.

2. რეესტრში შეტანილი ინფორმაციის ცვლილებას ახორციელებს ცენტრი ან საგანმანათლებლო დაწესებულება, ამ წესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, გარდა ამ დანართის მე-4 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით ა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემებისა, რომელთა შეცვლას ახორციელებს ცენტრი ან სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 1 (ერთი) დღის ვადაში ასახოს ნებისმიერი ინფორმაცია, რაც იწვევს რეესტრში ცვლილებების განხორციელებას, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა სტატუსთან (შეჩერება/შეწყვეტა) დაკავშირებულ მონაცემებში ცვლილებები.

4. რეესტრში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ან/და საგანმანათლებლო დაწესებულების მომართვის საფუძველზე ცენტრი უფლებამოსილია მოახდინოს რეესტრიდან შესაბამისი ჩანაწერის ამოღება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის ბრძანება №15/ნ - ვებგვერდი, 27.01.2012 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №155/ნ - ვებგვერდი, 10.08.2012წ.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა რეესტრში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე და რეესტრის მონაცემების სისწორის პრეზუმფცია

1. საგანმანათლებლო დაწესებულებას პასუხისმგებლობა ეკისრება მის მიერ რეესტრში ინფორმაციის სრულ და სწორ შეტანაზე, ასევე რეესტრში რეგისტრირებულ ინფორმაციაში შეცდომების დროულად გამოვლენასა და რეესტრის ინფორმაციის დროულად შევსებაზე. კანონმდებლობით დადგენილ ვადაში რეესტრში ინფორმაციის შეუტანლობით, ასევე არსებული ინფორმაციის შეცვლამდე, გამოწვეულ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც დადგა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეესტრში მოქმედების განხორციელებამდე პასუხისმგებლობა ეკისრება საგანმანათლებლო დაწესებულებას. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეესტრში ინფორმაციის დროულად შეუტანლობა შეიძლება გახდეს ცენტრის მხრიდან რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით განსახორციელებელი შესაბამისი მოქმედების შეჩერების ან მოქმედების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი.

2. ცენტრი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეესტრში შეტანილი ინფორმაციის გადამოწმებას.

3. ამ მუხლის მე -2 პუნქტით განსაზღვრული გადამოწმების დროს აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში ცენტრი მიმართავს კანონმდებლობით დადგენილ ზომებს.

4. საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივ აქტებში ასახულ ინფორმაციასა და რეესტრში რეგისტრირებულ შესაბამის ინფორმაციას შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება რეესტრის მონაცემები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №155/ნ - ვებგვერდი, 10.08.2012წ.

მუხლი 8. დაწესებულებისთვის კოდის მინიჭება

1. თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებას იდენტიფიცირებისთვის ენიჭება ინდივიდუალური ხუთნიშნა კოდი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აღრიცხვა იწყება ინდექსით – ,,1“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ინდექსით – ,,2“, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კი ინდექსით – ,,3“.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებებს ინდივიდუალური კოდი ენიჭებათ უწყვეტობის პრინციპის შესაბამისად, დაწესებულების ტიპის გათვალისწინებით.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების რიგითობა განისაზღვრება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ ავტორიზაციის მინიჭების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თანმიმდევრობის მიხედვით.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის ძალაში შესვლამდე არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების იდენტიფიცირება ხდება მე-8 მუხლის პირველ და მე -2 პუნქტებში მითითებული წესის შესაბამისად. კოდის მინიჭებისას მხედველობაში არ მიიღება რაიმე კონკრეტული გარემოება.

2. პასუხისმგებლობა ამ წეს ის ძალაში შესვლიდან წარმოებულ რეესტრზე, რომელშიც ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მათი საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისა და საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაცია, ეკისრება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას ამ მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული რეესტრის წარმოების მიზნით, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ/მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ვაუჩერული დაფინანსების მიღებას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყოს ცენტრის წვდომა მის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე წარმოებულ რეესტრზე.

5. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების“ მე-12 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ვალდებულია ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“, „ზ“ ქვეპუნქტებში, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული ინფორმაციის ასასახი ველების გარდა უზრუნველყოს რეესტრში შემდეგი ინფორმაციის ველების ასახვა:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების სახელწოდება ქართულ ენაზე;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) პროფესიული სპეციალიზაცია;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა (თვეებში);

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა;

ვ) თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა;

ზ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების მიერ დადგენილი სწავლის საფასურის ოდენობა თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

თ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა;

ი) ვაუჩერული დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა;

კ) ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ლ) კვარტალში სასწავლო თვეების რაოდენობა;

მ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების საბანკო რეკვიზიტი.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ რეესტრში ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“, „ზ“ და ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „თ“, „ი“, „კ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული ინფორმაციის ასახავაზე/შეცვლაზე და სისწორეზე პასუხისმგებელია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

7. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ რეესტრში ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „ლ“, „მ“ ქვეპუნქტებში განსაზღვრული ინფორმაციის ასახავაზე/შეცვლაზე და სისწორეზე პასუხისმგებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტში განსაზღვრული დაწესებულება.

8. ამ მუხლის მე -6 და მე -7 პუნქტებში განსაზღვრული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილება იმავე პუნქტებში განსაზღვრულმა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ/დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ დაუყოვნებლივ, მაგრამ არუგვიანეს 1 (ერთი) დღისა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 15 ნოემბრის ბრძანება №177/ნ - ვებგვერდი, 19.11.2013წ.